ი/მ "გიორგი ტივაძე"

ს/კ 01021002814, tkeproeqti@gmail.com, მობ: 571 900030

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

თბილისი **25 დეკემბერი 2020 წ.**

მისამართი:

ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი,მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვეთი03/003);

საკადასტრო კოდი:

01.10.07.001.068;

ფართობი:

2280.00 კვ.მ.

მესაკუთრეები:

შპს „ბალავარი" , IDნომერი: 200269583

საექსპერტო ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება/კვლევის მეთოდი:

საკვლევი ობიექტის რელიეფი ვაკეა, აღწერა შეფასება მოხდა ვიზუალური დათვალიერებით, დავაფიქსირეთ არსებული ხე-მცენარეების მდგომარეობა ფოტო მასალებით, რომლებიც თან ერთვის საექსპერტო დასკვნას

ცხრილი№1

№	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	D (ფს.ყ. 10სმ-ზე)	მცენარის ზოგადი მდგომარეობა	შენიშვნა
1	წნორი (Salix alba)	ხე	21	ხმობადი	4 ღეროიანი

2	ასკილი (Rosa)	ბუჩქი	0.5-1.0	ჯანსაღი	მრავალღეროიანი ხილკენკროვანი ექვემდებარება მოჭრა-გადარგვას
3	ძეძვი (Paliurus spina-christi)	ბუჩქი	0.5-2.0	ჯანსაღი	მრავალღეროიანი ექვემდებარება გადარგვას
4	ძეძვი (Paliurus spina-christi)	ბუჩქი	2	ჯანსაღი	მრავალღეროიანი ექვემდებარება გადარგვას
5	ძეძვი (Paliurus spina-christi)	ბუჩქი	0.5-1.5	ჯანსაღი	მრავალღეროიანი ექვემდებარება გადარგვას

ტერიტორიაზე არსებული ხე–მცენარეების რაოდენობა : 5

ხილკენკროვანი ხე–მცენარეები : 1

გადარგვას დაქვემდებარებული ხე–მცენარეები : 4

ხმობადი ხე–მცენარეები : 1

ზეხმელი ხე–მცენარეები : -

კერძოდ:

იხ.ცხრილი№1

1.დაბალი ღირებულების ჯგუფის ფოთლოვანი ხე-მცენარე 1 ძირი:

1ძირი(№ 1) - წნორი(Salix alba).

2. ხილ-კენკროვან სახეობათა ხე-მცენარე და ბუჩქი 1 ძირი:

12სმ და ნაკლები დიამეტრის ხე-მცენარე 1 ძირი:

1ძირი(№2) - ასკილი (Rosa).

3. ბუჩქი 3 ძირი:

3ძირი(№ 3 4, 5) - ძეძვი (Paliurus spina-christi).

25 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ჯანსაღი ხეების გადარგვა:

გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგეტაციო პერიოდში შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით და უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით. ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს კომის ფიქსირება ჯვალოში ან ბადეში.

დასარგავი ორმოს სიდიდე დამოკიდებულია მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე. სარგავი ორმოს სიგრძე და სიგანე 90 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20- 25 სმ-ით მეტი უნდა იყოს ხის კომზე. კომსა და ორმოს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიანი ნიადაგის ნაზავით , რომელთა შემადგენლობა განისაზღვრება ინდივიდუალურად. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ. სიღრმეზე, შემდეგ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს განსაკუთრებული სიფრთხილით ,რათა დარგვის დროს არ დაიშალოს მიწის კომი. არ დაზიანდეს მცენარის ღერო , ფესვთასისტემა და ვარჯი. ხის დარგვის შემდეგ აუცილებელია ღეროს დაფიქსირება რამოდენიმე მხრიდან , რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად ხის სიდიდიდან გამომდინარე. სარგავ ორმოში იყრება მიწის ნაზავი და იტკეპნება, ხოლო დარგული ხის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს მისი მულჩირება. ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მისი მორწყვა სრულ გაჯირჯვებამდე.

ხის მოვლა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში. ხის გადარგვის შემდგომ მაისიდან სექტემბრის ჩათვლით უნდა მოხდეს მცენარის მორწყვა არანაკლებ ორჯერ. ზამთრის თბილ და მშრალ პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხის მორწყვა უნდა ჩატარდეს თვეში ერთჯერ. თითოეული მცენარისთვის წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს (მორწყვის კალენდარი და ჯერადობა განისაზღვრება ინდივიდუალურად) . მორწყვის საუკეთესო დროა დილით 11-12 საათამდე და საღამოს 8 საათის შემდეგ.

დარგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თვეში ერთჯერ უნდა განახლდეს სარწყავი ჯამები, მოხდეს მიწის გაფხვიერება , სარეველა ბალახებისგან გაწმენდა. ფოთლოვანი ხის შემთხვევაში ფესვის ყელიდან ამონაყრის მოცილება. ხის დარგვის პირველი წლიდანვე საჭიროა ჩატარდეს დარგულ მცენარეზე დავადებების და მავნებლების წინააღმდეგ ჩასატარებელი ღონისძიებები სპეციალისტის მიერ მომზადებული ინსტრუქციით.

ხის გადარგვის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე ,(ვეგეტაციის დაწყებამდე) სარწყავ ჯამებში უნდა მოხდეს სერტიფიცირებული მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შეტანა და მორწყვა. სასუქების შეტანა უნდა განმეორდეს მცენარის დარგვიდან მესამე წელს.(შესატანი სასუქების რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად) დარგვიდან სამი წლის შემდეგ მცენარეს უნდა მოეხსნას ხის დასაფიქსირებელი საშუალებები.

ექსპერტი: გიორგი ტივაძე














მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმა

ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, მიმდებარე ტერიტორია, (ნაკვეთი 03/003) (ს/კ: 01.10.07.001.068) შპს "ბალავარი"-ს (ს/ნ: 200269583) საკუთრებაში არსებული 2280 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მისი მიმდებარე ტერიტორიის ტოპოგრაფიული

გეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ძს	საცხ. შენობა	ხის ღობე	წყალგაყვანილობა
ძა	არასაცხ. შენობა	ღობე	გაზი
	ფარდული	ლითონის ღობე	
	მშენებარე შენობა	ქვის კედელი	კანალიზაცია
	წიწვოვანი ხე	კედელი	სანიაღვრე
	ფოთლოვანი ხე	ფლატე	კაშხირგაბმულობა
	ხილკენკროვანი	რკინიგზა	ელ. ქსელები
	მცენარე/ პალმა გარე განათება	სამეთვალყურეო ჭები	გათბობა
		ელ. გადამცემი ხაზი	

შენიშვნა: 1) გეგმაზე დატანილია საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ნაკვეთის საზღვრები
2) ვინაიდან გეგმაზე დატანილია მხოლოდ რეგისტრირებული მიწისქვეშა კომუნიკაციები მაღი მდებარეობების დაზუსტება მოხდეს ყველა კომუნიკაციის წარმომადგენლებთან

შპს "ბალავარი"

თანამდებობა:	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი:	ი. მაღრაძე	
აზომა:	ა. ავანაშვილი	ა.ავანაშვილი
დახაზა:	ა. ავანაშვილი	ა.ავანაშვილი

მასშტაბი	1:500	პროექტი
თარიღი	2020	A-3
სტადია	ფურცელი	ფურცლები
ა.პ.		